ევროკავშირი საქართველოსთვის
EU4Business

GAA
საქართველოს არბიტრთა ასოციაციის აკადემია

UNDP

ოქტომბერი - დეკემბერი, 2020 !

არბიტრთა ასოციაციის აკადემიის I მოდული

საბაზისო კურსი (საერთაშორისო) კომერციულ არბიტრაჟში

პროექტი ხორციელდება ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით

2019 წლიდან საქართველოს არბიტრთა ასოციაცია სთავაზობს წევრებს და არა-წევრ პრაქტიკოსებს ტრენინგ მოდულს: **საბაზისო კურსი (საერთაშორისო) კომერციულ არბიტრაჟში.** მოდული პირველად 2019 წელს ჩატარდა და ის წარმატებით საქართველოში მოღვაწე 20-მა გამოცდილმა იურისტმა გაიარა. ამჯერად ხდება მისი მეორედ მიწოდება დაინტერესებული პირებისთვის.

გარდა მიღებული ცოდნისა, მოდულის გავლა წარმოადგენს გზას აკრედიტებული არბიტრის სტატუსის მისაღებად. ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, 2019 წლის 1 ივნისს არბიტრთა ასოციაციამ დაამტკიცა არბიტრთა აკრედიტაციის სისტემა. შესაბამისად, ასოციაციაში მკვიდრდება აკრედიტებული არბიტრის სტატუსი, რასაც ასოციაცია გასცემს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. აკრედიტაციის მოპოვების ერთ-ერთი გზა არის არბიტრთა ასოციაციის მიერ შეთავაზებული ორ-მოდულიანი სასწავლო კურსის წარმატებით გავლა. I მოდული მოიცავს საბაზისო ცოდნას (საერთაშორისო) კომერციულ არბიტრაჟში; II მოდული ორიენტირებულია პრაქტიკულ ასპექტებზე და მიღებული ცოდნის საარბიტრაჟო წარმოების პროცესში გამოყენებაზე (პრაქტიკა, პროცესი & საარბიტრაჟო გადაწყვეტილების წერა).

ამ კურსს გააჩნია უნიკალური სილაბუსი და წარმოადგენს საუკეთესო შესაძლებლობას მიიღო როგორც თეორიული ცოდნა ასევე პრაქტიკული გამოცდილება არბიტრაჟის შესახებ.

პირველი მოდულის გავლას ვურჩევდი ყველა იმ პრაქტიკოს იურისტს, ვისთვისაც არბიტრაჟი წარმოადგენს ინტერესის სფეროს, ვინაიდან კურსის ფარგლებში მათ ექნებათ წვდომა დარგის წამყვან პროფესიონალებთან და ქართულ ენაზე თარგმნილ თანამედროვე ლიტერატურასთან.

ანა რეხვიაშვილი | იურიდიული ფირმა BLB-ის უფროსი იურისტი

I მოდულის შესახებ:

არბიტრთა აკრედიტაციის მოდულები განკუთვნილია მოქმედი ან მომავალი არბიტრებისთვის, არბიტრაჟის სფეროში მოღვაწე ადვოკატებისთვის და არბიტრაჟით დაინტერესებული ნებისმიერი სხვა პირებისათვის, რომელთაც სურვილი აქვთ გაიღრმავონ ცოდნა ამ მიმართულებით. კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- არბიტრაჟი და დავის გადაწყვეტის სხვა მეთოდები;
- არბიტრაჟის მარეგულირებელი ჩარჩო;
- საარბიტრაჟო შეთანხმება, მისი მნიშვნელობა, შედგენა და აღსრულება;
- საარბიტრაჟო პროცესი - არბიტრაჟის დაწყებიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე (პრინციპები, ეტაპები, დოკუმენტები, წესები);
- სასამართლოს როლი საარბიტრაჟო პროცესში, მანამდე და მის შემდეგ;
- საარბიტრაჟო გადაწვეტილების გაუქმება და ცნობა-აღსრულება: პროცესი და საფუძვლები;
- არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის, მათ შორის კანონში 2015 წელს შესული ცვლილებების მიმოხილვა;
- ეთიკური ნორმების მნიშვნელობა და სტანდარტები არბიტრაჟში.

არბიტრთა ასოციაციის აკადემიის I მოდულის ფარგლებში მივიღე იმდენად ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა არბიტრაჟის შესახებ, რომლის მიღებაც ჩემი აზრით სხვა გზით შეუძლებელი იქნებოდა. განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა ტრენერთა კვალიფიკაციას, მათ პროფესიონალიზმს და საკითხების სიღრმისეული ცოდნას, ასევე მათ კოლეგიალური დამოკიდებულებას, სწორად შედგენილი სილაბუსს და სწორად შერჩეულ მასალებს.

მნიშვნელოვანია ასევე ფორმატი, რომელიც გვიბიძგებდა სრული ინტერაქციისკენ, რის შედეგადაც ვიყავი არა მსმენელი, არამედ ძალიან საინტერესო განხილვების და მსჯელობის მონაწილე, სადაც ყველა მნიშვნელოვანი საკითხი დეტალურად განიხილებოდა და სხვადასხვა შეხედულებებისა და მიდგომების ბოლომდე გააზრებაში მეხმარებოდა.

არჩილ ლეჟავა | იურიდიული ფირმა LPA-ს პარტნიორი

კურსის გავლის შედეგად მონაწილეები უკეთ შეძლებენ:

- ✓ გაუწიონ რჩევა კლიენტებს არბიტრაჟის, როგორც დავის გადაწყვეტის მექანიზმის გამოყენების შესახებ;
- ✓ შეადგინონ საარბიტრაჟო შეთანხმება (და გააანალიზონ კრიტერიუმები რათა მიიღონ „საუკეთესო“ გადაწყვეტილებები საარბიტრაჟო დაწესებულების/არბიტრის/წესების, არბიტრაჟის ადგილისა თუ სხვა საკითხების შესახებ);
- ✓ მოითხოვონ საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულება (ან შეეწინააღმდეგონ მას);
- ✓ წარმოადგინონ კლიენტები საარბიტრაჟო პროცესში (დანიშნონ არბიტრები, მოითხოვონ აცილებ, ა.შ);
- ✓ წარმოადგინონ კლიენტის ინტერესები საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების თუ გაუქმების პროცესში.

მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა - 20 ადამიანი

GAA
საქართველოს არბიტრთა ასოციაციის აკადემია

მიღების კრიტერიუმები

I მოდულში მონაწილეობის მსურველ პირებს უნდა ჰქონდეთ სულ მცირე 3 წლიანი პროფესიული სამუშაო გამოცდილება.

პირებს, რომლებსაც არ აქვთ 3-წლიანი პროფესიული გამოცდილება შეუძლიათ მომართონ არბიტრთა ასოციაციის აკადემიას წინაპირობისგან გათავისუფლებაზე თუ დაასაბუთებენ განსაკუთრებულ ინტერესსა და რაიმე გამოცდილებას არბიტრაჟის სფეროში.

ტრენერები:

1-ლი მოდულის წამყავნი ტრენერები იქნებიან ამ მოდულის თანაავტორები:

რუსუდან ჭკუასელი
იურიდიული ფირმა BLC, უფროსი იურისტი, M&A საბანკო და ფინანსირების მიმართულების ხელმძღვანელი

სოფიო ტყემალაძე
საქართველოს არბიტრთა ასოციაციის მმართველი საბჭოს თავმჯდომარე;
Resolve-ის დამფუძნებელი

კურსის ფარგლებში ჩაერთვებიან ასევე მოწვეული ექსპერტები!

იმისდა მიუხედავად, რომ არბიტრაჟთან მანამდეც მქონდა შეხება, 1-ლი მოდული ძალზედ ღირებული და ინფორმატიული აღმოჩნდა, რადგან კურსის ფარგლებში მსჯელობა გვიწევდა ისეთ პრობლემურ და პრაქტიკულ საკითხებზე, რაზეც მანამდე არ მიფიქრია და არც პრაქტიკაში მქონია შეხება.

კურსის წამყვანები უზრუნველყოფდნენ, რომ მიგველო ინფორმაცია არბიტრაჟში არსებულ უახლეს ტენდენციებზე, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე, სვამდნენ კრიტიკულ შეკითხვებს, რაზეც ცალსახა პასუხი, როგორც წესი, არ არსებობს; ასეთი მიდგომა ძალიან საინტერესოს ხდიდა სესიებს და საკითხების უფრო სიღრმისეულ გააზრებაში გვეხმარებოდა.

ნინო სესიტაშვილი | BlueOrchard Finance Ltd-ის ინვესტიციების აღმასრულებელი და იურიდიული ოფიცერი

მოდულის ხანგრძლივობა, ფორმატი და მეთოდი:

მოდული შედგება 9 სასესიო შეხვედრისა და ფინალური გამოცდისგან. შეხვედრები შედგება ყოველ სამშაბათს, 13 ოქტომბრიდან - 8 დეკემბრის ჩათვლით; 19:00 საათზე. შეხვედრების ხანგრძლივობა 2-3 საათი. გამოცდა ჩატარდება 2020 წლის 16 დეკემბერს.

შეხვედრების უმეტესობა ჩატარდება დისტანციურად, პლატფორმა Zoom-ის მეშვეობით. არსებული სიტუაციის პოზიტიური დინამიკის და უსაფრთხოების შემთხვევაში, შესაძლებელია რამდენიმე შეხვედრა ჩატარდეს ფიზიკური შეხვედრის ფორმატშიც.

მონაწილეებს წინასწარ მიეწოდებათ მასალები, რომელთაც ისინი უნდა გაეცნონ ყოველ შეხვედრამდე. სასესიო შეხვედრების მიზანია ტრენერების მიერ მომზადებული პრატქიკული მაგალითების განხილვა და მასალის გაცნობის შედეგად მონაწილეთა მიერ წამოჭრილ საკითხებზე მსჯელობა.

კურსზე რეგისტრაცია:

კურსზე რეგისტრაციის მიზნით, გთხოვთ შეავსეთ აპლიკაცია.

რეგისტრაციის ბოლო ვადაა **2020 წლის 5 ოქტომბერი.**

გაითვალისწინეთ, რომ მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდულია, და რეგისტრაცია მოხდება პირველადი მომართვის პრინციპით.

აპლიკაცია

მონაწილეობის საფასური:

I მოდულის საფასური შეადგენს 400 ლარს საქართველოს არბიტრთა ასოციაციის წევრებისთვის, ხოლო 450 ლარს არა-წევრებისთვის.

გადახდა შესაძლებელია ერთიანად ან განაწილვადებით: 10 ოქტომბრამდე 100 ლარი, 10 ნოემბრამდე 200 ლარი და 10 დეკემბრამდე 100/150 ლარი. ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია გადახდის სხვა გრაფიქზეც შეთანხმება.

კითხვების შემთხვევაში, მოგვმართეთ:

gaa.arbitration@gmail.com 599334649

GAA
საქართველოს არბიტრთა ასოციაციის აკადემია